საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №282

14 ნოემბერი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 14 ნოემბერს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, მარინა მუსხელიშვილი, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ესწრებოდა ლელა გაფრინდაშვილი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.
2. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა.

პირველი საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.მიმდინარე სხდომას სკაიპის მეშვეობით აჭარის ტელევიზიის გენერალური დირექტორი იოსებ სტურუა და ფინანსური სამსახურის მენეჯერი ეკატერინე შაინიძე ერთვებოდნენ.
გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს აპარატში საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დასამტკიცებლად შემოვიდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი. საბჭოს წევრებმა კითხვები დაუსვეს აჭარის ტელევიზიის მენეჯმენტის წარმომადგენლებს, რომლებიც სხდომას სკაიპის საშუალებით ერთვებოდნენ, მათ მიერ წარმოდგენილ კორექტირებული ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. საკითხზე მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. საბჭოს წევრებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ბუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).
გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ აჭარის ტელევიზიის და რადიოს ხელმძღვანელების მიერ კორექტირებული ბიუჯეტის პროექტთან ერთად, დასამტკიცებლად წარმოდგენილია აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული დებულების პროექტი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აჭარის ტელევიზიის გენერალურ დირექტორს იოსებ სტურუას(რომელიც სხდომას სკაიპის საშულებით ერთვებოდა), რომ ბიუჯეტის

პროექტი საბჭოს წევრებს მიმდინარე სხდომამდე გასაცნობად ელექტრონულ მისამართებზე ერთი კვირით ადრე გადაეგზავნათ, წარმოდგენილი დებულება ორი დღის წინ ოფიცილაურად შემოვიდა სამეურვეო საბჭოს აპარატში, რის გამოც ჯერ ვერ მოხერხდა აღნიშნული დოკუმენტის შესწავლა. გრიგოლ გოგელიამ თხოვნით მიმართა აჭარის ტელევიზიის მენჯმენტის წარმომადგენლებს, მოამზადონ მათ მიერ წარმოდგენილი დებულების შესახებ, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული წერილობითი ანალიზი, ასევე მაუწყებლის იურიდული სამსახურიც მოამზადებს ანალოგიური შინაარსის დოკუმნეტს, რის შემდეგაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნულ საკითზე. საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე, რომელის დღის წესრიგში გათვალისწინებული იქნება, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" აჭარის ტელევიზიის და რადიოს დებულების დამტკიცების საკითხი, აჭარის ტელევიზის ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 14 ნოემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი